პროგრამის სახელწოდება: სატყეო სამეურნეო სამუშაოების შესრულება

პროგრამის სახე: პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 4

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 21

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 8-13 სთ.

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა - 223 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 10 **მაქსიმალური** -15

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

1. ასაკი +18
2. წინარე ცოდნა და/ან სამუშაო გამოცდილება „სატყეო საქმეში“

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია გადაამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრი, რომელიც შეძლებს: ხის ჭრის პროცესის დაგეგმვა/ორგანიზებას, ხის ჭრა/გაწმენდა/დახარისხება/გამოზიდვა/ტრანსპორტირების ოპერაციების ჩატარებას, ტყის აღდგენა-გაშენების სამუშაოების განხორციელებას, სამოქმედო ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარებას უსაფრთხოების წესების დაცვით.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ შერძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენებას და დასაქმებას და/ან კარიერულ წინსვლას მეტყევეობაში.

პროფესიული გადამზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისათვის.

სწავლის შედეგები:

1. ხის ჭრის პროცესის სამუშაოს დაგეგმვა/ორგანიზება
2. ხის ჭრა/გაწმენდა/დახარისხება/გამოზიდვა/ტრანსპორტირება უსაფრთხოების ნორმების დაცვით
3. ტყის აღდგენა-გაშენების სამუშაოს ორგანიზება
4. ფართობის მომზადება/სარგავი და სათესი მასალის მომზადება/დარგვა და დათესვა
5. სამოქმედო ტერიტორიაზე ტყის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების განხორციელება უსაფრთხოების წესების დაცვით.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელიც აკმაყოფილებს დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა/უნარები და/ან გაიუმჯობესოს პრაქტიკული უნარები და გახდეს შრტონის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი კადრი, რომელიც შეძლებს კარიერულ წინსვლას და/ან დასაქმებას აღნიშნული მიმართულებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლიობა შეადგენს 21 კვირას, კვირაში 8-13 საათი, სულ 223 სთ. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება. სწავლება განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით, სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტის შესწავლა განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში (A გარემო) და კოლეჯის სასწავლო ტერიტორიაზე, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის გავლა მოხდება პარტნიორ ორგანიზაციაში, საწარმოს ინსტრუქტორის ჩართულობით, (C გარემო). მაღალი კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტის მიერ, შრომის უსაფრთხოების და თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

სწავლებისა და შეფასებისთვის გამოყენებული იქნება პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი მეთოდები (ლექცია, დემონსტრირებით სწავლება, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება-დაკვირვებით).

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს - დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.